# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 დეკემბერი, კვირა, 1989 წ. № 246 (10 165) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ახალი შტრიხი — სტაბილურობის ნიმუში

22 დეკემბერი. თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლე.

„დინამო" (თბილისი) — „ბუდიველნიკი" (კიევი) 88:74 (46:36).

„დინამო": ტიუბინი (28), სანაძე (15), ბაქრაძე (14), უსტიაშვილი (10), დარსაძე (7), შენგელია (6), ფერიაშვილი (4), კორძაძე (2), ტალაბაძე (2).

„ბუდიველნიკი": მურზინი (21), შაპტალა (18), პოდკოვიროვი (10), უსპენსკი (7), ორეხოვი (4), პინჩუკი (4), ლევიცკი (4), შევჩენკო (2), დოლგოვი (2), ოკუნსკი (2), ერმოლინსკი.

მსაჯები: ბორის ცარიკოვი (გომელი) და ა. იაროცკი (მინსკი).

სურათზე: თბილისის „დინამოსა" და კიევის „ბუდიველნიკის" გუნდების შეხვედრის ეპიზოდი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

# შეიქმნა შოტოკან-კარატეს ასოციაცია

**კარატეს** — სპორტის ამ საინტერესო და თავისებურ სახეობას ჩვენში საკმაოდ დიდხანს ჰქონდა ვეტო დადებული. ათეული წლების მანძილზე ეწყობოდა მსოფლიო ჩემპიონატები, იმართებოდა ათასგვარი შეჯიბრებები და ზეიმები, მაგრამ ჩვენი სპორტსმენები და სპორტის მოყვარულები ელემენტარული მეთვალყურის როლსაც კი მოკლებული იყვნენ. კარატე — ასე სასტიკად „აკრძალული ხილი" მალულად შემოტანილი ვიდეო-ფირებით თუ აღწევდა მის თავგადადებულ თაყვანისმცემლებამდე. და ეს მაშინ, როდესაც სპორტის სხვა სახეობებთან ერთად მასაც დიდი სიკეთის მოტანა შეეძლო ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის, მისი წრთობისა და ზნეობრივი დახვეწისათვის. ამ რამდენიმე წლის წინათ რესპუბლიკაში კარატეს ფედერაციაც კი შეიქმნა, ტარდებოდა რესპუბლიკური ჩემპიონატები, საქართველოს სპორტსმენები წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო ჩემპიონატებში. 1982 წელს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი გია ბაკურაძე სსრ კავშირის ჩემპიონიც კი გახდა კარატეში. შემდეგ ყველაფერი ეს აიკრძალა, უძრაობის წლების. „მძიმე იდეოლოგიასთან" კარატესაც გაუჭირდა ბრძოლა...

და აი, ყინული გალხვა. ვეტო მოხსნილია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1989 წლის 20 დეკემბერს მიიღო დადგენილება საქართველოს შოტოკან-კარატეს ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ. რესპუბლიკის მთავრობის დონეზე, ოფიციალურად პირველად იქნა ცნობილი და აღიარებული კარატე თავის კანონიერ მოქალაქეობრივ უფლებებში. ჩვენი სპორტული ცხოვრებისათვის ეს უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კომენტარს უკეთებს შოტოკან-კარატეს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, სტუდენტთა სამშენებლო რაზმების რესპუბლიკური შტაბის მთავარი ექიმი ზურაბ მერაბიშვილი:

— ჩვენს რესპუბლიკაში კარატეს აღიარების ფაქტი ასეთ დონეზე, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, — დღევანდელობის სასიკეთო მოვლენებისა და ცვლილებების ერთ-ერთ მორიგ გამოხატულებად მივაჩნია. ყოველ კეთილ საწყისს მხოლოდ სიკეთე მოაქვს, თუ მას ადამიანები კეთილგანწყობით უდგებიან. კარატეც — სპორტი და ფილოსოფია ხომ მხოლოდ და მხოლოდ კეთილ საწყისებს, მორალურ-ზნეობრივ კატეგორიებს შეიცავს. მისი ფართოდ დანერგვისაგან მხოლოდ სიკეთეს უნდა მოველოდეთ და ოდნავი ეჭვიც არ გვეპარება, რომ ეს ასეც იქნება. ამიტომაც ითვლება კარატე მსოფლიოში სპორტის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობად. იგი თითქმის ყველა ქვეყანამ მიიღო ოფიციალურად (გამონაკლისს მარტო სსრ კავშირი და მონღოლეთი შეადგენდა), მის ჯგუფებსა და სკოლებში 120 მილიონზე მეტი კაცია გაერთიანებული. კარატე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებულია, როგორც სპორტის ოლიმპიური სახეობა.

კარატეს ასეთ პოპულარობას თავისი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, შეუზღუდავია ასაკი — 6-7 წლის ბავშვებიდან დაწყებული და მოხუცებით დამთავრებული; იგი თანაბრად მისაღები და სასარგებლოა მამაკაცებისა და ქალებისათვის; ზრდის გამძლეობას ფსიქო-ემოციური და ფიზიკური სტრესების მიმართ, აყალიბებს ფსიქოლოგიურად სტაბილურ პიროვნებას, უაღრესად ეფექტურია თავდაცვისათვის, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არ მოითხოვს ძვირადღირებული მატერიალური ბაზის შექმნას, ადვილად ხელმისაწვდომია სპორტის მოყვარულთათვის. ჩვენც სწორედ ამ მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდით, შოტოკან-კარატეს (ეს კარატეს ერთ-ერთი სახეობაა) რესპუბლიკური ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს რომ განვსაზღვრავდით. იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ აქტიური საქმიანობის გაშლას, ახალგაზრდა თაობის დაინტერესებას და ფართოდ მოზიდვას, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობას ჩვენს რესპუბლიკაში. საამისოდ ახლა ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობები გვექმნება. სწორედ ამ საკითხებზე გვქონდა მსჯელობა მიმდინარე წლის 12 ნოემბერს, როდესაც თბილისში შეიკრიბნენ კარატეს ჯგუფების ხელმძღვანელები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებიდან და მიიღეს გადაწყვეტილება ახალი საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია იმის ხაზგასმაც, რომ შოტოკან-კარატეს ოფიციალურად აღიარებას რესპუბლიკის მთავრობის მიერ უთუოდ დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. ჩვენი საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის ფაქტს. მაგრამ ჩვენი ოლიმპიური კომიტეტი უშუალოდ რომ შევიდეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, მიღებული წესის მიხედვით აუცილებელია სულ ცოტა ხუთი ეროვნული სპორტული ფედერაციის პირდაპირი გაწევრიანება შესაბამის მსოფლიო ფედერაციებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკური სპორტული ფედერაციების აბსოლუტური უმრავლესობა საკავშირო ფედერაციების წევრად ითვლება და ეს შეუძლებელს ხდის ამ ეტაპზე მათს უშუალო გაწევრიანებას საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში, მაშინ გასაგები გახდება, თუ რა შესაძლებლობები იქმნება კარატეს დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაციის ჩამოყალიბებით.

საქართველოს შოტოკან-კარატეს ასოციაციას არაერთი მიწვევა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილეობის თაობაზე. ასოციაციაში უკვე გაერთიანდა ჩვენი უძლიერესი სპორტსმენების დიდი უმრავლესობა, და იმედი გვაქვს, რომ ისინი თავს არ შეირცხვენენ, ახალი გამარჯვებებით შეავსებენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ მატიანეს.

# „აისი" საქართველოს ჩემპიონია!

**რესპუბლიკის სპორტსახკომის ვარკეთილის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის სარაგბო მოედანზე გუშინ გაიმართა საქართველოს მორაგბეთა 22-ე ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი — საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის „აისი" და ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდი. ანგარიშით 15:6 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა და მოიპოვეს რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული.**

## გუშინ...

**თბილისში ლენინის სახელობის, დარბაზში გაიმართა კალათბურთში ქალთა საკავშირო პირველობის (I ლიგა) მორიგი შეხვედრა. ჩვენი „ბურევესტნიკი" როსტოველთა გუნდს მასპინძლობდა.**

**მატჩი დაძაბულად წარიმართა. თამაშის დამთავრებას 4 წუთი აკლდა, როცა ანგარიში იყო 72:71 მასპინძელთა სასარგებლოდ. ბურევესტნიკელებმა კრიტიკულ მომენტში მტკიცე ნებისყოფა გამოიჩინეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 78:73.**

დღეს, ამავე დარბაზში გაიმართება ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა. მატჩი დაიწყება 18 საათზე.

## არც მადლობა დაივიწყეს!

**მინიფეხბურთში** მ. მესხის პრიზზე პირველი საერთაშორისო ტურნირის ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში თანადგომისა და ხელშეწყობისათვის ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი და სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო მადლობას უძღვნიან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახაგრომრეწვის, თბილისის ვაჭრობისა და მილიციის სამმართველოების, აეროფლოტის, „საქინპექსის", „ტყავგალანტერიისა" და სპორტნაწარმის ფაბრიკების, სასტუმრო „აჭარის", სტამბა-გამომცემლობების, სპორტის სასახლის ხელმძღვანელობას, აგრეთვე სპონსორებს და ჟურნალისტებს.

# ხუთშაბათს, 12-დან 14 საათამდე

### ანუ როგორ დაიწყო უეფა-სთან კავშირის გზების ძიება

**ყველაფერი** თავისთავად და მოულოდნელად მოხდა. პარასკევს „ლელო" არ გამოდის და წინა დღეს რედაქციის მუშაკები ისვენებენ. ცხადია, ეს არ ეხება ხელმძღვანელს. ხუთშაბათსაც ბევრი ავტორი თუ სხვადასხვა საკითხით დაინტერესებული ადამიანი აკითხავს რედაქციას. იმ დილით ჯერ ჩვენი ფეხბურთის სამმართველოს თანამშრომელი ზვიად დარასელი გვეწვია, შემდეგ მას იმავე სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ბარქაია მოჰყვა ფეხდაფეხ. ორივეს გეგმები ჰქონდათ შესათანხმებელი ერთი ცნობილი ქართველი ფეხბურთელის მომავალ იუბილესთან დაკავშირებით.

შემდეგ საუბარში შევეხეთ ერთ საკითხს, რომელიც ვიცით, ბევრს აწვალებს, კონკრეტული პასუხი კი ვერავის გაუცია. სამწუხაროდ, ათწლეულობით ჩვენ მივეჩვიეთ სადაო საკითხების არა კანონითა და წესებით შეფასებას, არამედ საკუთარი მოსაზრებებით დასკვნების გამოტანას. ამას მოწმობს თუნდაც ასეთი ფაქტი: რედაქციაში შემოსულ უამრავ წერილებში ავტორები ამტკიცებენ, რომ უეფა-სა და ფიფა-ში გასაერთიანებლად საკმარისია ჩავატაროთ დამოუკიდებელი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი...

აი, ახლა რადაქციაში სამნი ვსხედვართ. ვეკითხები სტუმრებს: გაქვთ თუ არა ფეხბურთის ფედერაციაში უეფა-ს და ფიფა-ს წესდება? — არა! სად შეიძლება ვიშოვოთ? — არ ვიცით! იქნებ მოსკოვში, ფედერაციაში დავრეკოთ, ახლავე, სასწრაფოდ, — არაფერი გამოვა, არ მოგვცემენ, შეიძლება არცა აქვთ. მაშ, რა ვქნათ? — დუმილი!

გაგვახსენდა ოლიმპიური ქარტიის ამბავი. არც მოსკოვში ჰქონდათ (?!) იციან ჩვენმა მკითხველებმა ძლივს ჩავიგდეთ ხელში ბალტიისპირელთა დახმარებით. რა ჰქნან ჩვენი ფეხბურთის სამმართველოს მუშაკებმა, თუ იმთავითვე ყველაფერი იდუმალებითაა მოცული.

მერე სხვა მიმართულებით წარვმართეთ საუბარი. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გავცეთ პასუხი ვინმემ რომ იკითხოს: გვიჩვენეთ ის კაცი, ვინც ეძებდა წესდებებს და ვერსად მიაკვლია, ვინც მიწერა წერილი ან თხოვნა ფიფა-ს ან უეფა-ს და იქიდან უარი მიიღო. გვიჩვენეთ დოკუმენტი, რომ კარს არ გვიღებენ ეს საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციები და ა.შ. კითხვა უამრავია, მაგრამ, ვიმეორებთ, პასუხი?

12 საათი და 35 წუთი. ოთახში ჩვენი ძველი ნაცნობი თბილისის ტელეგრაფის საერთაშორისო ბიუროს თანამშრომელი თემურ ჯიშიაშვილი შემოვიდა. თემური ხშირად ემსახურება პრესცენტრებს თბილისში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ინგლისურის სპეციალისტია, „ლელოშიც" იბეჭდება. ახლაც მოგვიტანა ინტერვიუ (ეს მასალა დღეს ქვეყნდება).

თემური სიამოვნებით დაგვეთანხმდა შე[illegible]დგინა ტექსტი და დაუყოვნე[illegible]ც გადაგვეცა იგი ტელექსით უეფა-ში და ფიფა-ში. მაგრამ... ვის არ დავურეკეთ, ვის არ ვთხოვეთ, ტელექსის ნომერი ვერა და ვერ შევიტყვეთ. ბოლოს გუდაურში, ე. წ. ავსტრიელთა სასტუმროში დავრეკეთ. მხოლოდ იქ აღმოაჩნდათ კატალოგი. 13 საათსა და 05 წუთზე უეფა-ს ტელექსის ნომერი ხელთ გვქონდა. ფიფა-სთვის კი ტელექსი განვლილი ხანა ყოფილა, იქ თურმე კავშირის ახალ სისტემაზე მუშაობენ.

საერთაშორისო ორგანიზაციებში წერილობით მიმართვას აქვს თავისი წესი და რიგი, რაშიც, რა

იხ. მე-3 გვ.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**გრძელდება** სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვა საქართველოს 10 საუკეთესო (მათ შორის რესპუბლიკის 1989 წლის №1 სპორტსმენის), აგრეთვე სამი საუკეთესო გუნდისა და ათი რჩეული მწვრთნელის დასასახელებლად. საგანგებო ანკეტის გარეშე ჟურნალისტები თავად ადგენენ სიას, რომლის წარმოდგენის ბოლო ვადაა 27 დეკემბრის 11 საათი.

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.**

## 26 დეკემბერს, 18 საათზე

**საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით სპეციალისტებისა და გულშემატკივართა შეხვედრა გაიმართება არა კინოს სახლში, არამედ თბილისის „დინამოს" სტადიონის კონფერენც დარბაზში, როგორც ეს ადრე უკვე გამოაცხადა საქართველოს ტელევიზიამ.**

# მალე გაზაფხული მოვა



**უამინდობის** გამო თავის ღია მოედნებზე „სპორტული სეზონი“ დაამთავრა საჩოგბურთო კლუბმა „მუხის ფოთოლმა“.

ჩოგბურთის კატალოგში ტყუილად ნუ დაიწყებთ ძებნას. „მუხის ფოთოლი“ ერთი უპრეტენზიო, სამოყვარულო კლუბია, რომელმაც ვაკის პარკში დაიდო ბინა. იქ კორტები, ბევრმა ალბათ იცით, ღიაა და ზამთრის სუსხმა დროებით გაანელა მოთამაშეთა ენთუზიაზმი.

ჯერ კიდევ შემოდგომა იყო, როდესაც „მუხის ფოთოლმა“ თავისი პირველი ტურნირი ჩაატარა. შეჯიბრება ძალიან ხალისიანი და საინტერესო გამოდგა, როგორც საერთოდ იცის ხოლმე, როდესაც ორგანიზატორებიც, თუ მონაწილეები ერთნაირი ენთუზიაზმით არიან შეპყრობილი. შეგახსენებთ, კლუბი მოყვარულებისაა და ამის გამო თავისებური შეზღუდვაც კი დააწესეს: სარბიელზე გამოსვლის უფლება არ მისცეს სპორტსმენებს, რათა სხვებისთვის თამაშს ინტერესი არ დაეკარგა. ამასთან, რადგან კლუბს ორი კორტი აქვს, შესარჩევი ტურნირის მონაწილეთა რაოდენობა ოდნავ შეკვეცეს.

ტურნირიც და მის შემდეგ გამართული საზეიმო დახურვაც ოჯახურ ზეიმებს ჰგავდა, ბუნებრივსა და უშუალოს. კლუბის საწევროებით შეგროვდა ფული პრიზებისთვის (პირველი პრიზი 200 მანეთი იყო), საჩუქრებისთვის. მონაწილეები რიგრიგობით მსაჯობდნენ, თუმცა ერთი საკავშირო კატეგორიის არბიტრიც ჰყავდათ მიწვეული.

არ გაგიკვირდეთ, ტურნირს უცხოეთშიც გამოეხმაურნენ: ცნობილ ამერიკულ ჟურნალ „უორლდ ტენისში“ დაიბეჭდა წერილი „მუხის ფოთლის“ შესახებ. ჩოგბურთის მოყვარული ამერიკელები თბილისში ჟოფილან მშვიდობის მისიით, კლუბიც უნახავთ და შინ ამბავიც ჩაუტანიათ მის შესახებ. „კლუბში გავიცანით ძალიან სასიამოვნო და სიმპათიური ხალხი, — წერდნენ ისინი „უორლდ ტენისში“ — თამაშობენ თანამედროვე ჩოგნებით. თუ მიგვიწვევენ, თბილისში ოჯახებით ჩავალთ“... საქმე ის არის, რომ ამერიკაში კერძო, თუ საზოგადოებრივი საჩოგბურთო კლუბი უამრავია და „მუხის ფოთლის“ გაცნობისას ამერიკელებმა ბუნებრივი რეაქცია გამოავლინეს — ქართველ ჩოგბურთელებთან კავშირის დამყარება გადაწყვიტეს. „ტურნირი ვიდეოფირზე გადავიღეთ და ჩვენს ახალ ნაცნობებს გავუგზავნეთ“, — გვითხრეს თავის მხრივ „მუხის ფოთლის“ ხელმძღვანელებმა.

ახლა პირველ გამარჯვებულებს გაგაცნობთ: წყვილებში ყველას აჯობეს მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გია გეგელიამ და ბიოლოგმა სანდრო ლეჟავამ. ვაჟთა პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა გია გეგელიამ, ხოლო ქალებში — სტუდენტმა მაკი გიგინეიშვილმა. 40 წელზე უფროსებს შორის თავი გამოიჩინა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გიზო შენგელიამ.

ახლა კი ვიტყვით იმ მთავარზე, რაც, ჩვენი აზრით, კლუბის მუშაობაშია გამოსარჩევი: თბილისში და, საერთოდ, მთელს საქართველოში, ბევრია სპორტული მოედანი, რომლებიც ყველაზე ამორფულ, ასე ვთქვათ, საერთო-სახალხო ქონებად ითვლება, ანდა უწყებრივი დაქვემდებარებისაა. ბევრგან — ეს ვინ არ იცის — მუშაობა ჩამკვდარია და მოედანს თავისი ფუნქცია დაკარგული აქვს. ყველგან, ცხადია, არა, მაგრამ ბევრ ასეთ მოედანზე კლუბების გახსნა, იჯარა ნამდვილად გამოაცოცხლებდა საქმეს, თავის დანიშნულებას აღუდგენდა ბაზებს. სწორედ ასე მოხდა, როცა რამდენიმე თბილისელმა ახალგაზრდამ ვაკის პარკის ადმინისტრაციისგან იჯარით აიღო ორი ასფალტის კორტი და სისხლსავსე სპორტულ ბაზად აქცია ისინი. მატერიალური გამორჩენა აქ არაფერ შუაშია, როგორც კლუბის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, თუმცა იქვე უალკოჰოლო კაფე-ბარიც გაუხსნიათ (კლუბს აქვს მყუდრო გასახდელები და საშხაპეც), სახსრები ფაქტობრივად მხოლოდ იმისთვის ჰყოფნით, რომ „მუხის ფოთოლმა“ იმოქმედოს. მოქმედებით კი იცოცხლეთ, კარგად მოქმედებს: დღის ნებისმიერ მონაკვეთში იმ ორ მოედანზე თამაშია გაჩაღებული. ავარჯიშებენ ბავშვებსაც, ამ საქმეს ორი მწვრთნელი უძღვება: ზანდა ფოცხვერია და ვიქტორ მესხიშვილი.

— ჩვენთან თბილისის ყველა კუთხიდან დადიან, — გვითხრეს კლუბში, — მაინც შეგვიძლია მეტის მიღება, მაგრამ საქართველოში ჯერ ჩოგბურთის ბუმი არ დამდგარა...

ალბათ მიხვდებით, ეს ბოლო ფრაზა იმედით არის ნათქვამი.

**გიორგი იოსებიძე.**

## საქართველოს საშუალო და სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა სპარტაკიადა

# გამარჯვება ხუთივე სახეობაში

**მძლეოსნობა**, ქართული ჭიდაობა, ფრენბურთი, კალათბურთი და მშვილდის მრავალჭიდი — აი, სპორტის ის 5 სახეობა, რომლებიც საქართველოს საშუალო და სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა რესპუბლიკური ფინალური სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა.

ეს ასპარეზობა ბათუმში გაიმართა, მანამდე კი ჩატარდა მასობრივი შეჯიბრებები ჯგუფებში და კურსებზე. შემდგომ ეტაპზე მოეწყო შეჯიბრებები დარგობრივ-ტერიტორიული პრინციპით, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საუკეთესო სპორტსმენებისა და გუნდების შერჩევას სპარტაკიადის ფინალებისთვის.

ფინალურ პაექრობებში 20 სასწავლებლის და ტექნიკუმის 400-ზე მეტი მოსწავლე-სპორტსმენი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, პროგრამის ყველა სახეობაში გუნდების გამოყვანა მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა პროფკავშირების სისტემის სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ნაკრებმა, აგროსამრეწველო, ტოპოგრაფიული და რკინიგზის ტექნიკუმებმა შეძლეს. კავშირგაბმულობის ტექნიკუმი კი მხოლოდ ერთ სახეობაში გამოვიდა.

სპარტაკიადაზე განსაკუთრებით კარგად იასპარეზა განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა პროფკავშირების სისტემის სასწავლებლებისა და ტექნიკუმების გუნდმა, რომელმაც ხუთივე სახეობაში გაიმარჯვა და, ბუნებრივია, კომპლექსურ ჩათვლაშიც უძლიერესი გახდა.

მეორე ადგილზე გავიდა აგრომრეწვის სისტემის ტექნიკუმი, ხოლო მესამეზე — თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის გუნდი.

**ს. ბაჩეჩილაძე.**

ალტერნატივა? — მკითხველი ასე ფიქრობს...

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები

## დისკუსია ილუზიის ირგვლივ

**კამათმა** ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე ფართო ხასიათი მიიღო. პატრიოტული მოტივებით განმსჭვალულ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის ამაღლებას, ჩვენი ღრმა რწმენით კი, პირიქით მოხდება. განა ცნობილი არ არის ის, რომ ყოველი გუნდის კლასის ამაღლებას და გამოწრთობას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელს უწყობს ძლიერ მეტოქეებთან ორთაბრძოლები? თუ ეს ასეა, ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ უნდა აიმაღლონ კლასი თბილისის „დინამომ“, ან ლანჩხუთის „გურიამ“, როცა მათი მეტოქეები დაბალი კლასის გუნდები იქნებიან?

ნათქვამის დასადასტურებლად ის ფაქტიც კმარა, რომ უმაღლესი ლიგიდან დაბალ ლიგაში გადასული გუნდები საბოლოოდ მათ დონეზე ეშვებიან და დაკნინების გზას ადგებიან.

გარდა ამისა, განა ცოტა გვსმენია იმის თაობაზე, რომ ჩვენი ქვეყნის საკლუბო გუნდების ევროპის ტურნირებში წარუმატებელ გამოსვლებს იმით ხსნიან, რომ მათ ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრების გამოცდილება აკლიათ? ეს თუ ასეა, ისმის კითხვა, აბა რა გამოცდილება და წრთობა უნდა მიიღონ ქართული ფეხბურთის ფლაგმანებმა, ვთქვათ წყალტუბოს „მადრევანთან“, ვანის „სულორთან“, ან ჩოხატაურის „მახმაროსთან“ პაექრობაში. განა სულ ახლახან არ იყო, გულისტკივილით რომ აღვნიშნავდით, თბილისის „დინამო“ ევროპის ტურნირებში ვეღარ მონაწილეობს და ამიტომაც მისი თამაშის კლასის დაცემის, ჩვენი ინტერესების დაქვეითების ერთ-ერთი მიზეზი ესეც არისო.

ახლა კი ნებაყოფლობით გვინდა ხელი ავიღოთ საკავშირო ჩემპიონატზე, ჩავიკეტოთ საკუთარ ნაჭუჭში და ყოველგვარ ინტერესს და დაძაბულობას მოკლებული შეხვედრები გავმართოთ შინაურ გუნდებთან?

სხვა რომ არ იყოს, იმის დავიწყება როგორ შეიძლება, თუ როგორ აჟიოტაჟს იწვევდა ჩვენი „დინამოს“ შეხვედრები მოსკოვის „სპარტაკთან“, კიევის „დინამოსთან“, „არარატთან“, რა დიდი იყო გამარჯვებით გამოწვეული სიხარული!

**გიზო წულაია.**

## პრობლემები არის, და მაინც...

**არ მესმის**, ზოგიერთის აზრით, რატომ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ საკავშირო ჩემპიონატის დამსახურებად ის ფაქტი, რომ ამდენი ვარსკვლავი გვყავდა, ის, რომ ყველაზე უფრო ლამაზ ფეხბურთს ვთამაშობდით, ის, რომ თასების მფლობელთა თასი მოვიპოვეთ. როგორ ფიქრობთ, რა დააკლდებოდა ჩვენი ფეხბურთელების თამაშს, მხოლოდ საქართველოს პირველობაზე რომ თამაშობდნენ. ალბათ ყველას გახსოვთ, რა თქვა ამ რამდენიმე დღის წინ მიხეილ მესხმა — 1966 წელს საქართველოს ნაკრები რომ შეგვედგინა, იგი საკავშიროზე უფრო ძლიერი იქნებოდაო. დამეთანხმებით ალბათ, რომ მესხი ის კაცია, რომელსაც დაეჯერება.

რაც შეეხება დღევანდელი ჩვენი ფეხბურთის დაბალ დონეს, დარწმუნებული ვარ, იგი დროებითია და მის გაუმჯობესებას საკავშირო ჩემპიონატი ვერაფერში გამოადგება, პირიქით კი სულ ადვილად შეიძლება მოხდეს. კრიზისი ფეხბურთში ჩვეულებრივი მოვლენაა და იგი მარტო ჩვენ კი არა, ისეთ დიდ საფეხბურთო ქვეყანასაც ვერ ასცდა, როგორიც ბრაზილიაა.

საქმეში ჩახედული გულშემატკივარი დამეთანხმება, რომ არსად, არც ერთი ქვეყნის ჩემპიონატში არაა იმდენი ე. წ. „ჩაწყობილი“ მატჩები, ისეთი დაბალი დონის მსაჯობა, როგორც ჩვენთან. არსად ისე მოუწესრიგებელი არაა კალენდარი, არსად არ ტარდება ამდენი ექსპერიმენტი, როგორც ჩვენთან. გავიხსენოთ ჩემპიონატის პირველი და ბოლო მატჩები დათოვლილ მინდვრებზე; რა ფეხბურთია მანეჟში.

ეროვნული ჩემპიონატის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ჩვენი გუნდების მატჩებს არავინ დაესწრება. ვფიქრობ, ცდებიან. რასაკვირველია, ძალთა თანაფარდობა თუ ისეთივე დარჩა, როგორიც დღეს არის, მაშინ ეს გარდუვალია. მაგრამ როცა ეროვნულ ჩემპიონატში თბილისი, ქუთაისი, ლანჩხუთი, ბათუმი, სოხუმი, რუსთავი და სხვა ქალაქები თავისი გუნდებით გამოვლენ, ყველა იზრუნებს კლუბის გაძლიერებისთვის.

ახლა ყველაზე უფრო არსებითი საკითხის შესახებ. ჩვენმა სპორტულმა ორგანიზაციებმა და არა მარტო მათ, ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ საქართველო უეფა-ს წევრი გახდეს. კარგად მესმის, რომ ეს არის ყველაზე რთული, ძნელად გადასაჭრელი პრობლემა, იმიტომ, რომ წმინდა პოლიტიკური საკითხების გარდა, თავს იჩენს გეოგრაფიული ფაქტორიც. ერთი სიტყვით, მიზანი ძნელად მისაღწევია, მაგრამ ამით უფრო დიადია იგი. ყველა ჭეშმარიტ გულშემატკივარს ვუსურვებ ამ მიზნის აღსრულებას.

**ნუგზარ ბარაბაძე.**

**ქუთაისი.**

## წერილების მიმოხილვა

**ფეხბურთის** გულშემატკივრებს **ქ. ქაფიანიძეს** და **ო. გურგენიძეს** მიაჩნიათ, რომ ჩვენმა გუნდებმა მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში უნდა მიიღონ მონაწილეობა. სსრ კავშირის საფეხბურთო პირველობაზე საქართველოს კლუბების წამყვან მოთამაშეებზე ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული და მოჰყავთ მიკერძოებული მსაჯობის არაერთი მაგალითიც. ტყიბულელ **ვ. პატარიძეს** მიაჩნია, რომ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება ჯერჯერობით ნაადრევია, მისი გამართვა ჩვენი რესპუბლიკისთვის მაშინ იქნება სასურველი, როცა საკავშირო პირველობაზე საქართველოს გუნდები ლიდერთა შორის იქნებიან, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ავტორს ეჭვი ეპარება, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატმა საინტერესოდ ჩაიაროს. **ო. მამაგეიშვილს** მიაჩნია, რომ მხოლოდ რესპუბლიკის ჩემპიონატში ჩვენი გუნდების მონაწილეობა იხსნის ჩვენში ფეხბურთს კრიზისისაგან და მოჰყავს თავისი მოსაზრებები: „საქართველოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს ისე, როგორც ევროპაშია — საგაზაფხულო და საშემოდგომო, რომ ევროპულ ტურნირებში საასპარეზოდ ჩვენს გუნდებს ევროპულ კლუბებთან ერთად ჰქონდეთ თანაბარი პირობები, მაგრამ ჯერ ჩვენი რესპუბლიკა უნდა გახდეს უეფა-სა და ფიფა-ს წევრი“... VIII კლასის მოსწავლე **ვ. წურწუმია** გვთავაზობს თავის მოსაზრებას: გუნდები უნდა დაიყოს ორ ქვეჯგუფად, სულ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობდეს 16 გუნდი და ჩვენი რესპუბლიკის ყველა საფეხბურთო კოლექტივები სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ. **ნ. კლდიაშვილი**: ჩვენ არასოდეს მივიღებთ უმაღლეს საფეხბურთო „ცოდნას“, სანამ ვითამაშებთ საკავშირო ჩემპიონატში, რადგან რუსული საფეხბურთო სკოლა არ მიმაჩნია უმაღლესი ფეხბურთის სკოლად, რადგან კიევისა და თბილისის „დინამოს“ გარდა არც ერთ საბჭოთა კლუბს არ უსახელებია თავი ევროპულ ტურნირებში. თავის აზრს სთავაზობს მკითხველს ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივარი **მ. ბულაძე**. მას მიაჩნია, რომ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატი საწყის ეტაპზე უნდა დაიყოს სამ რეგიონად: აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთი. ზონებში გამარჯვებულმა ორ-ორმა გუნდმა რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა მიმოსვლით უნდა წარმართონ. ასეთივე პრინციპით უნდა ჩატარდეს გათამაშებები ჩვენი ქვეყნის დაბალ ლიგებშიც.

**გ. ხონგულია**: „მტერს არ მივცეთ ზურგს უკან სალაპარაკო, შევეშვათ ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას, ჯერ ჩვენმა წამყვანმა კლუბებმა დაიმკვიდრონ ადგილი ლიდერებში და მხოლოდ ამის შემდეგ მოვითხოვოთ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება“. **გ. პაპაშვილი**: „ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა უნდა მიიღოს 8 საუკეთესო გუნდმა, შეჯიბრება უნდა წარიმართოს 4 წრედ, დაიწყოს მარტში და დამთავრდეს ოქტომბერში. ბოლო ადგილზე გასულმა გუნდმა დატოვოს უმაღლესი ლიგა. პირველ ლიგაში მონაწილეობა მიიღოს თორმეტმა კოლექტივმა. ამ ლიგაში შეხვედრები ორ წრედ უნდა წარიმართოს“. **გ. მიქიაშვილი** გვთავაზობს პროექტს თუ როგორ უნდა ჩატარდეს საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატი. მასში წარმოდგენილია საქართველოს კუთხეები, მათში შემავალი ქალაქებისა და რაიონული ცენტრებით ისე, რომ თითოეულს უფლება აქვს დათანხმდეს ან უარი თქვას ჩემპიონატში მონაწილეობაზე, ანდა დამატებით წარმოადგინოს თავისი ქალაქის თუ რეგიონის გუნდები. ჩემპიონატი წარიმართება სამ ზონად — უმაღლესი, პირველი და მეორე.

ზუგდიდელი **ვ. ფიფია** მხარს უჭერს ჩატარდეს საქართველოს „ეროვნული თასის“ გათამაშება და კატეგორიულად მოითხოვს შეწყდეს საკავშირო ჩემპიონატიდან გამოსვლის თაობაზე უსაფუძვლო კამათი.

# სამ ქალაქში

**უკრაინის** დედაქალაქ კიევში დიდი ინტერესი გამოიწვია მაია ჩიბურდანიძის საჭადრაკო სკოლის მიერ ორ წრედ ჩატარებულმა რეიტინგ-ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 6 ოსტატმა და 2 ოსტატობის კანდიდატმა. მათ შორის, ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილიც გაბლდათ — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, ოსტატობის კანდიდატი გიზო ჰურღულია. მან შესანიშნავად განვლო მთელი ტურნირი და 8,5 ქულით, დნეპროპეტროვსკელ ალექსანდრე ბოროვიკოვთან ერთად, I-II ადგილები გაინაწილა, III ადგილი წილად ხვდა ასევე დნეპროპეტროვსკელ ოსტატს იგორ კაბატიანსკის — 8 ქულა.

**ასევე** დიდ წარმატებას მიაღწიეს პოლონეთის ქალაქ ბელოსტოკში გამართულ ესპერანტოს შემქმნელის ლუდვიკ ზამენჰოფის ხსოვნისადმი მიძღვნილ XIV საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში ჩვენმა თანამემამულეებმა, თბილისელებმა ვარლამ ვეფხვიშვილმა და დავით ჯაფარიძემ. შვეიცარიული სისტემით (11 ტური) გამართულ შეჯიბრებაში 28 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ბრწყინვალე შედეგით — 10,5 ქულა 11-დან — პირველი ადგილი დაისაკუთრა ვეფხვიშვილმა (ერთადერთი ყაიმი თანამემამულე ჯაფარიძესთან). 8-8 ქულით II-III ადგილები გაიყვეს ჯაფარიძემ და პოლონელმა გჟეგოჟ სვიეცკიმ, მაგრამ, უკეთესი კოეფიციენტის წყალობით, II ადგილი ჯაფარიძეს მიეკუთვნა.

**განსაკუთრებით** უნდა აღინიშნოს ვეფხვიშვილის სტაბილური გამოსვლები საერთაშორისო ასპარეზზე. ბელოსტოკის ტურნირამდე, ნოემბერში ასევე წარმატებით გამოვიდა იგი პრაღის საერთაშორისო ტურნირში და 36 მონაწილეს შორის II ადგილზე გავიდა.

**ირინე ბოზოლაშვილი.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ახალი შტრიხი — სტაბილურობის ნიმუში

**სხვა** დროს, სხვა სიტუაციაში ამ წარმატებას უსათუოდ სხვა რეზონანსი ექნებოდა, მაგრამ დღეს, უბრალოდ რომ ვთქვათ, ზარ-ზეიმის თავი არა გვაქვს. „დინამო" პრაქტიკული საქმიანობითაა დაკავებული, კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას ცდილობს და კარგია, რომ სწორ გზაზე დგას. ყოველ შემთხვევაში, სეზონის პირველი ფასეული გამარჯვება გუნდმა სწორედ გუშინწინ მოიპოვა და თანაც ვისთან — ქვეყნის ჩემპიონთან, კიევის „ბუდიველნიკთან".

ჩემპიონი მუდამ ჩემპიონია, თუმცა წლევანდელ სეზონში მან მძიმე დანაკლისი განიცადა. ვოლკოვისა და ბელოსტენის წასვლის შედეგად (ეს კალათბურთელები უცხოეთის პროფესიულ კლუბებში გადავიდნენ სათამაშოდ) „ბუდიველნიკში" არსებითი ცვლილებები მოხდა, მაგრამ შემადგენლობა, ობიექტურად, მაინც ძლიერია, ამოუწურავი რეზერვებით, რომელიც ყოველ წუთს, ყოველ მატჩში მთელი ძალით შეიძლება ამოქმედდეს.

ჯერ თუნდაც ის რად ღირს, რომ შემადგენლობაში შვიდი ორმეტრიანი კალათბურთელია, რომელთაგან ყველაზე „ტანმორჩილის" ალექსანდრე ერმოლინსკის სიმაღლე 205 სანტიმეტრი გახლავთ. გარკვეული პროპორციაა მიღწეული გამოცდილ და ახალგაზრდა სპორტსმენთა შორისაც და ამგვარად შეწყობილი ანსამბლი სწორი ტაქტიკითა და ერთიანი გეგმით თამაშობს.

„ბუდიველნიკთან" პირველ კალენდარულ მატჩში თბილისელებმა ხელიდან გაუშვეს გამარჯვების ნაღდი შანსი. ასე ფიქრობდა გუნდი, ასე ფიქრობდნენ მისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები. ამ ვარაუდის კანონიერება „დინამოს" განმეორებით მატჩში უნდა დაემტკიცებინა, რაც თავისთავად არ იყო ადვილი საქმე. ახლა, როცა ვიცით მატჩის შედეგი, უფრო თამამად და გადაჭრით ვამბობთ, რომ თბილისელებმა წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე დასმულ მძიმე ამოცანას და გამარჯვებას სავსებით ლოგიკურია. მაგრამ მატჩის დაწყების წინ ასეთ ვარაუდს გადაჭრით ერთი-ორი ოპტიმისტი თუ გამოთქვამდა. პირველი მატჩის უსამართლო ფინალი უმრავლესობაზე ფსიქოლოგიურად მოქმედებდა.

ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც ოპტიმისტებს აუხდათ თამამი ვარაუდი. „დინამომ", როგორც ჩანს, ზუსტად გაიაზრა წინა დღის მარცხის მიზეზები, გაანაწილა ფუნქციები მოთამაშეთა შორის და განსაკუთრებული მეთვალყურეობა დააწესა უკანა ხაზზე, საიდაც ყველაზე მეტი უსიამოვნება შაპტალას მხრიდან იყო მოსალოდნელი. ყველაზე რთული მისია (შაპტალას „მეურვეობა") ახალგაზრდა ირაკლი ბაქრაძეს დაეკისრა, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი ამოცანას. წინა მატჩის პირველ ნახევარში კიეველმა თავის კოლექტივს 18 ქულა შესძინა, სულ კი — 27. განმეორებით შეხვედრაში ეს მონაცემები შესაბამისად შემცირდა — 6 და 16.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ამ ერთ ეპიზოდზე ყურადღება საგანგებოდ იმიტომ შევაჩერეთ, რომ, ვიმეორებთ, ყველაზე დიდი საფრთხე აქედან იყო მოსალოდნელი. თორემ „დინამოს" მთლიანი სტრატეგია ამ მატჩში ყოველმხრივ უნაკლო იყო და ამიტომაც გამოიღო მან სასურველი შედეგი.

კოლექტიური გამარჯვების დროს, ეს შეხვედრა კი სწორედ მთელმა კოლექტივმა მოიგო, ვინმეს საგანგებოდ გამოყოფა უტაქტობა იქნებოდა. ამიტომ მხოლოდ ზოგადი შეფასებით შემოვიფარგლებით და ხაზს გავუსვამთ ერთ სასიამოვნო გარემოებას: „დინამო" ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ იძენს ხელწერას და თავის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს უბრუნებს კარგა ხნის წინათ დაკარგულ რწმენას.

ამ გამარჯვებას, რა დაგიმალოთ, საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვაც ექნება. მთავარი თვით წარმატების ფაქტი კი არ გახლავთ, არამედ გამარჯვების ხარისხი. თბილისელები უპირატესობას მთელი მატჩის მანძილზე ფლობდნენ. ზოგიერთ მომენტში ეს უპირატესობა 17 ქულასაც კი აღწევდა. იყო კრიტიკული მომენტებიც. ერთ შემთხვევაში ქულათა სხვაობა ოთხამდეც კი შემცირდა. მაგრამ ასეთი დროებითი ჩავარდნა აქვს ყოველ გუნდს, ყოველ მატჩში. მთავარია, რომ მასპინძლებმა ეს უმტკივნეულოდ დაძლიეს, როგორც ერთი უსიამოვნო ეპიზოდი, როგორც წარუმატებლობა.

ეს ახალი შტრიხია „დინამოს" თამაშში და მისი სტაბილური ოსტატობის კარგი ნიმუში. ეს შტრიხი გუნდს განსაკუთრებით დაჭირდება მესამე-მეოთხე წრის მატჩებში, რომელთა დიდ ნაწილს გუნდი სტუმრად გამართავს.

**ნოდარ ბუზუშვილი.**

• • •

## სხვა მატჩები

**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 57-ე საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.**

**მოსკოვი.** ადგილობრივმა „დინამომ" მეორე შეხვედრაც მოუგო მინსკის რტი-ს 101:81 (42:47) და სატურნირო ცხრილში III ადგილზე გადაინაცვლა.

**ალმა-ათა.** ასკ-მ პირველ ტაიმში 8 ქულით აჯობა დონეცკის „შახტიორს" — 44:36. შესვენების შემდეგ ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო და მასპინძლებმა მხოლოდ ერთქულიან უპირატესობას მიაღწიეს — 89:88.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 23 დეკემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 20 | 19 | 1 | 39 |
| ვეფ (რიგა) | 21 | 13 | 8 | 34 |
| „დინამო" (მოსკ.) | 20 | 13 | 7 | 33 |
| ასკ (ალმა-ათა) | 19 | 13 | 6 | 32 |
| „კალევი" (ტალინი) | 21 | 11 | 10 | 32 |
| „ბუდიველნიკი" (კ.) | 20 | 12 | 8 | 32 |
| რტი (მინსკი) | 22 | 9 | 13 | 31 |
| „ჟალგირისი" (კაუნ.) | 20 | 9 | 11 | 29 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 21 | 7 | 14 | 28 |
| „შახტიორი" (დონ.) | 21 | 7 | 14 | 28 |
| „დინამო" (თბ.) | 19 | 8 | 11 | 27 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 22 | 2 | 20 | 24 |

# სოხუმის „დინამო" უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში

**წლევანდელ სეზონში სოხუმის „დინამოს" ფეხბურთელებმა გაახარეს თაყვანისმცემლები. გუნდი, როგორც ცნობილია, 1990 წლიდან საკავშირო გათამაშების პირველ ლიგაში ისპარეზებს.**

**მომავალი** წლის 1 იანვრიდან სოხუმის „დინამო" თვითდაფინანსებაზე გადადის, იგი უკვე დამოუკიდებელი სამეურნეო ორგანიზაცია გახდა. დებულება დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ. დამფუძნებელ კრებაზე აირჩიეს კლუბის საბჭო, რომელშიც შევიდნენ ცნობილი ფეხბურთელები, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სპორტული მუშაკები, საწარმოო-დაწესებულებების ხელმძღვანელები, პრესის წარმომადგენლები (სულ 50 კაცი). კლუბის საბჭოს პირველ სხდომაზე ჩამოყალიბდა პრეზიდიუმი. პრეზიდენტად აირჩიეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვლადიმერ მიქანბა.

3-5 დეკემბერს სოხუმის „დინამოს" კოლექტივმა იმოგზაურა უნგრეთში და ჩეხოსლოვაკიაში. დაგეგმილი იყო რამდენიმე ამხანაგური თამაში ადგილობრივ გუნდებთან, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო მათი ჩატარება ვერ მოხერხდა. ნაწილობრივ ეს გამოწვეულია პირველ რიგში იმ რთული ვითარებით, რომელიც უნგრეთში და ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნა დეკემბრის პირველ ნახევარში.

სამაგიეროდ, — თქვა ჩვენთან საუბარში კლუბის პრეზიდენტმა ვლადიმერ მიქანბამ (იგი ახლდა გუნდს უცხოეთში), — დამყარდა კარგი ურთიერთობა უნგრეთის ფეხბურთის კავშირთან და მის გენერალურ მდივანთან შანდორ ვარგასთან, აგრეთვე, ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ნიტრას საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელებთან, კერძოდ კლუბის პრეზიდენტთან მიჩელ ბუხთან. მომავალში სოხუმის დინამოელები ალბათ გამართავენ შეხვედრებს ამ ქვეყნების გუნდებთან, პირველ რიგში კი ქ. ნიტრას კლუბთან, რომელიც საკმაოდ სტაბილურად გამოდის თავის ქვეყნის ჩემპიონატში. ვნახეთ „ნიტრას" და ბრატისლავის „ინტერის" თამაში (2:0 გაიმარჯვა „ნიტრამ") და დავრწმუნდით მის შესაძლებლობებში. ჩეხოსლოვაკიის და უნგრეთის გუნდებთან მომავალი შეხვედრების თარიღები, — თქვა ვ. მიქანბამ, — მოგვიანებით დაზუსტდება.

**თენგიზ პაპკორია,**
**„ლელოს" საკ. კორ.**
**სოხუმი.**

# ხუთშაბათს, 12-დან 14 საათამდე

(დასასრული)

დასამალია, ჯერ კიდევ გვაკლია გამოცდილება.

**ცნობისათვის: ამ დღეებში ერთ-ერთი უცხოური საფეხბურთო ჟურნალის ბოლო ნომრიდან შევიტყვეთ, რომ ფიფა-სა და უეფა-ს არდადეგები ეწყებათ. ახლა საგულდაგულოდ ვკითხულობთ ამ ტექსტს: „22 დეკემბრიდან ფიფა-ს და უეფა-ს შტაბბინაში ერთდროულად იწყება საშობაო არდადეგები. მუშაობა განახლდება 2 იანვარს, მაგრამ გამართულად დაიწყებენ 8 იანვრიდან".**

დღეს 21 დეკემბერია, ხუთშაბათი, 13 საათი და 20 წუთი. თუ მოვასწრებთ, დღეს უნდა მოვასწროთ თხოვნის გადაცემა, იქნებ პასუხიც მივიღოთ, ვინ იცის, ბედმა გაგვიღიმოს და დღესვე მოასწრონ ფოსტით უეფა-ს წესდების გამოგზავნა, ჩვენც ხომ დროს მოვიგებთ.

უმალვე შევადგინეთ ტექსტი. მაგრამ ვინ მიმართავს უეფა-ს? საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ჩვენი ოლიმპიური კომიტეტი თუ... გადაწყდა ჯობს მივმართოთ „ლელოს" რედაქციისა და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის სახელით. აი, ეს ტექსტიც:

**უეფა-ს შტაბბინას!**

**საქართველოს სპორტული გაზეთი „ლელო" ფეხბურთის ქართველ გულშემატკივართა სახელით გისურვებთ მხიარულ საშობაო ზეიმს და ბედნიერ ახალ წელს.**

**გთხოვთ, თუ ეს ძნელი არ იქნება თქვენთვის, გამოგვიგზავნოთ უეფა-ს წესდება. ჩვენი მისამართია: საქართველო, თბილისი — 380096. ლენინის, 14. „ლელოს" რედაქცია.**

**წინასწარ გიხდით მადლობას. (ხელმოწერა).**

აქვე ვბეჭდავთ ამ ტექსტის ინგლისური ვარიანტის ასლს, რომელიც გადაიცა ტელექსით:

CHIEF STEP OF UEFA

GEORGIAN SPECIAL SPORT NEWSPAPER ,,LELO''
IN THE NAME OF FOOTBALL FANS WIHS
YOU MERRY CHRISTMAS, HAPPY NEW-YEAR
AND REQUESTS (BEGS)
TO SEND THE COPY OF THE RULES OF UEFA
IF IT IS NOT DIFFICULT FOR YOU
YOU CAN SEND IT BY LATTER OR BY TELEX

OUR ADRESS:
USSR TBILISI 380096 LENIN STR 14 ''LELO''

OUR TELEX 212912 PTB SU

WE THAK YOU BEFOREHAND.
WITH BEST REGARDS EDITOR NEWSPAPER ,,LELO''
PRESIDENT OF GEORGIAN SPORTSWRITER'S
ASOSIATION T. GACHECHILADZE

13 საათი და 50 წუთი. თემურ ჯიშიაშვილი რედაქციაში გვირეკავს, რომ ტექსტი ითარგმნა და უკვე გადაიცა.

13 საათი და 58 წუთი. თემური კვლავ რეკავს რედაქციაში: მოვიდა დასტური, რომ თბილისიდან გაგზავნილი თხოვნის ტექსტი მიიღო უეფა-ს შტაბბინამ.

მეტი ინფორმაცია აღარ მიგვიღია. ალბათ საშობაო არდადეგების ჩამთავრებას უნდა დაველოდოთ.

**თენგიზ ბაჩიჩილაძე.**

# მარადონა: „თუ საჭიროა, ბოდიშსაც მოვიხდი"

**1990 წლის** მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრის შემდეგ თითოეული ფინალისტის ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევს. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ეპყრობა მათ, ვისაც მსოფლიო ჩემპიონის ოქროს თასის მოპოვების შანსი აქვს.

ერთ-ერთი ასეთი იყო სარდინიის მთავარ ქალაქ კალიარიში გამართული ამხანაგური საერთაშორისო მატჩი იტალიისა და არგენტინის ნაკრებ გუნდებს შორის. იტალიელები, მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები არიან, ხოლო არგენტინელები — ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულნი. სრულიადაც არაა გამორიცხული, რომ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონობა სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა მოიპოვოს.

როგორც იცით, შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0. მიმომხილველები იუწყებიან, რომ მეტოქეებმა მაღალი კლასის თამაში აჩვენეს, თუმცა, დაცვითი ხაზები საგრძნობლად ჯობდნენ თავდასხმისას. მთელი მატჩის მსვლელობაში მხოლოდ რამდენიმე ნამდვილად სახიფათო მომენტი თუ შეიქმნა. არგენტინელები აშკარა მარცხს გადაარჩინა მეკარე პუმპიდოს ბრწყინვალე თამაშმა, რომელმაც ორი უძნელესი ბურთი მოიგერია ჯანინისა და სერენასგან, 86-ე წუთზე კი არგენტინელთა კაპიტანმა მარადონამ ნაღდ საგოლე პოზიციაში გაიყვანა კანიჯა, მაგრამ მან მიზანს ააცილა დარტყმა.

თვით თამაში, უდავოდ, მეტად საყურადღებო იყო, მაგრამ მაყურებელთა ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ დიეგო მარადონამ, რომელიც ამჟამად იტალიის კლუბში თამაშობს, მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა არსებითად ინსცენირებული თაღლითობა გახლდათ, მასპინძლებს ყოველგვარ პირობას უქმნიან გამარჯვებისთვის, ისინი ერთ ჯგუფში მოახვედრეს ჩეხოსლოვაკიის, ამერიკისა და ავსტრიის გუნდებთან ერთად, არგენტინელებს კი სსრ კავშირის, რუმინეთისა და კამერუნის ძლიერი გუნდები არგუნეს მეტოქეებად.

როგორც ცნობილია, ამ ცილისმწამებლური განცხადებისთვის იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დიეგო მარადონას ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში უჩივლა, ახლა კი ყველა მოუთმენლად ელის რა სანქციებს მიმართავენ მარადონას მიმართ.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა გვიდო ტონიონიმ განაცხადა:

— ეს ყველაზე უფრო სულელური განცხადებაა, რაც კი ოდესმე მომისმენია ფეხბურთელისგან და რატომ უნდა დავსაჯოთ ადამიანი მხოლოდ იმისთვის, რომ მან ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო თავი? რა თქმა უნდა, თუ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დაჟინებით მოითხოვა, იძულებული ვიქნებით განვიხილოთ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში მარადონას დისკვალიფიკაციის საკითხი. მაგრამ არა მგონია საქმე აქამდე მივიდეს.

თვით დიეგო მარადონამ კი, რომელიც ალბათ მიხვდა თავისი განცხადების უსაფუძვლობას, შენიშნა: „მე მხოლოდ ხმამაღლა ვთქვი ის, რასაც ბევრი მხოლოდ თავისთვის ფიქრობს. თუ ეს საჭირო იქნა, მზად ვარ ბოდიშიც მოვიხადო".

ტურნირის ექო — თქვენ რას იტყვით კოლეგა?

# ინტერვიუ პოლანდიელ ჟურნალისტთან

ბატონ რუდ ვან დერ ლინდენს შეპირებისამებრ სასტუმრო „ივერიის“ ვესტიბიულში შევხვდი, შემდეგ საუბარი სასტუმროს კაფეში გავაგრძელეთ.

**● ბატონო რუდ, თუ შეიძლება, გვითხარით რამოდენიმე სიტყვა თქვენს შესახებ?**

— სიამოვნებით. პროფესიით ჟურნალისტი ვარ. ვმუშაობ ამსტერდამში, საკვირაო გაზეთ „დე ტელეგრაფში“. ვარ ამსტერდამის სპორტული კლუბის „ალბერტ ქიაფის“ პრეზიდენტი. სპორტს დიდი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში. განსაკუთრებით კრივს. კრივი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მეგობრები ხუმრობენ „რუდი კრივით არის დაავადებულიო“.

**● გვიამბეთ რას წარმოადგენს თქვენი კლუბი?**

— კლუბი „ალბერტ ქიაფი“ შეიქმნა 1934 წელს ამსტერდამში. მასში გაერთიანებული არიან 12-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები. აქ სპორტის სხვადასხვა სახეობების გარდა ბავშვებს მუსიკას და ცეკვასაც ასწავლიან. ბოლო წლებში კლუბის ცხოვრებაში წამყვანი ადგილი კრივმა დაიკავა. 1981 წლიდან თითქმის ყველა წონაში გვყავს ჰოლანდიის ჩემპიონი. რამდენიმე კვირით ჩვენთან მოწვეული იყო საბჭოთა მწვრთნელი ვალერი ბელოვი, რომელიც კლუბის წევრებს ავარჯიშებდა.

**● პოპულარულია თუ არა კრივი ჰოლანდიაში?**

— კრივი ჩვენთან ნაკლებად პოპულარული სპორტის სახეობაა. კრივის ასოციაცია 3000-მდე წევრს ითვლის. ჰოლანდიელი ჭაბუკები ბარებსა და დისკოთეკებში ჯდომას უფრო მეტ დროს ანდომებენ, ვიდრე სპორტში ვარჯიშს, მით უმეტეს ისეთ რთულ და მძიმე სპორტში, როგორიც კრივია.

ჰოლანდიიდან პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ოლიმპიური ჩემპიონი კრივში იყო ბიბ კლავერენი — 1928 წელს.

**● კმაყოფილი ხართ თუ არა თბილისის საერთაშორისო ტურნირში თქვენი ჭაბუკების შედეგებით?**

— თბილისში სამი ჭაბუკი ჩამოვიყვანეთ. მათთგან ერთი ნაადრევად გამოეთიშა ტურნირს ტრავმის გამო, მეორეს ხელი მოეცარა, მესამე კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, რასაც დიდ წარმატებად ვთვლი.

აქვე მინდა გამოვყო ქართველი მოკრივე ფალიანი, რომელიც ძალიან მომეწონა, მერწმუნეთ, თუ იგი გულმოდგინედ გააგრძელებს კრივში ვარჯიშს. მისგან ბევრს უნდა მოველოდეთ.

**● იცით თუ არა, რომ საქართველოში შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი?**

— დიახ ვიცი. დავით კვაჭაძემ უკვე მიამბო ამის შესახებ, თქვენ იმდენი მსოფლიოს და ევროპის პირველობების, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები გყოლიათ, მსოფლიოს ბევრი მოწინავე სახელმწიფო ინატრებდა. მივესალმები საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას და ვისურვებდი მალე მეხილოს ქართველი სპორტსმენები მსოფლიო ასპარეზზე, სადაც ისინი საქართველოს სახელით წარსდგებიან და მის ღირსებას დაიცავენ. სხვათა შორის, დავით კვაჭაძე სანამ პირადად არ გავიცანი, რუსი მეგონა.

**● რა შთაბეჭდილებებით მიდიხართ საქართველოდან?**

— საქართველოში, კერძოდ თბილისში, მეორედ ვარ. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს კრივის ფედერაციის თავმჯდომარეს დავით კვაჭაძეს. მან თბილი და გულწრფელი მასპინძლობა გაგვიწია.

**● თქვენ პიჯაკზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშას ვხედავ...**

— დიახ, თქვენ შეგიძლიათ საქართველოს მეგობართა სიაში შემიყვანოთ. თქვენდამი სოლიდარობის ნიშნად კი ამ დროშას ვატარებ. ვიცი, რა მოხდა თბილისში 9 აპრილს, ვიცი, რისთვის იბრძვის და საითკენ მიილტვის ქართველი ხალხი. მათი ბრძოლა სამართლიანია, სამართლიანობა კი ადრე თუ გვიან უთუოდ გაიმარჯვებს. მეც თქვენსავით მცირერიცხოვანი ერის შვილი ვარ. უსაზღვროდ მიყვარს ჩემი ქვეყანა, ამიტომ კარგად მესმის თქვენი.

ვუსურვებ მთელ ქართველ ერს მალე მიეღწიოს სანუკვარი მიზნისათვის.

ესაუბრა **თემურ ჯიშიაშვილი.**

# მძლეოსანთა „გრან პრი“

**როგორც** მძლეოსანთა „გრან პრის“ საორგანიზაციო კომისიის ცნობაშია ნათქვამი, 1990 წელს ამ შეჯიბრების სისტემაში (ჩათვლაში) შევა შემდეგი ასპარეზობები, რომლებიც დაიწყება: 20 მაისს — სან-პაულოში (ბრაზილია), 26 მაისს — სან-ხოსეში (აშშ, კალიფორნია), 10 ივნისს — მოსკოვში, 20 ივნისს — ბრატისლავაში, 27 ივნისს — ჰელსინკში, 29 ივნისს — ლილში, 2 ივლისს — სტოკჰოლმში, 4 ივლისს — ბერლინში (გდრ), 6 ივლისს — ედინბურგში, 10 ივლისს — ნიცაში, 12 ივლისს — ლოზანაში, 14 ივლისს — ოსლოში, 18 ივლისს — რომში, 20 ივლისს — ლონდონში, 5 აგვისტოს — ბუდაპეშტში, 10 აგვისტოს — ბრიუსელში, 15 აგვისტოს — ციურიხში, 17 აგვისტოს — დასავლეთ ბერლინში, 19 აგვისტოს — კიოლნში. 7 სექტემბერს ათენის ოლიმპიურ სტადიონზე მოეწყობა დასკვნითი შეჯიბრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს 8-8 უძლიერესი ათლეტი თითოეულ დისციპლინაში.

„გრან პრის“ მფლობელებისთვის და საპრიზო ადგილებზე გამოსულთათვის ამჯერად ფულადი პრიზები გასამკეცებულია: გამარჯვებულს 25 ათასი დოლარი გადაეცემა, მეორე ადგილზე გასულს — 15, მესამეზე — 10 ათასი დოლარი.

## საბჭოთა ჰოკეისტები საზღვარგარეთ

გაიმართა პროფესიონალ ჰოკეისტთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები, რის შემდეგაც გუნდების სატურნირო მდგომარეობა დივიზიონების მიხედვით ასე გამოიყურება:

**პატრიკი**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „ფილადელფია“ | 35 | 36 |
| „პიტსბურგი“ | 33 | 36 |
| „რეინჯერსი“ | 34 | 35 |
| „ნიუ ჯერსი“ | 34 | 33 |
| „ვაშინგტონი“ | 33 | 32 |
| „აილენდერსი“ | 36 | 28 |

**ადამსი**

| | | |
|---|---|---|
| „ბუფალო“ | 34 | 46 |
| „მონრეალი“ | 37 | 44 |
| „ბოსტონი“ | 33 | 37 |
| „ჰართფორდი“ | 35 | 35 |
| „კვებეკი“ | 34 | 17 |

**ნორისი**

| | | |
|---|---|---|
| „ჩიკაგო“ | 34 | 40 |
| „მინესოტა“ | 35 | 36 |
| „სტ. ლუისი“ | 33 | 34 |
| „ტორონტო“ | 35 | 34 |
| „დეტროიტი“ | 33 | 25 |

**სმიტი**

| | | |
|---|---|---|
| „ედმონტონი“ | 35 | 46 |
| „კალგარი“ | 35 | 39 |
| „ლოს-ანჯელესი“ | 34 | 37 |
| „ვინიპეგი“ | 33 | 33 |
| „ვანკუვერი“ | 35 | 29 |

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჰოკეისტებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კლუბებში გამოსვლა დაიწყეს, ინტერესმოკლებული არ იქნება გაგაცნოთ ყველა ის სპორტსმენი, რომლებიც დღესდღეობით საზღვარგარეთ გამოდიან: ავსტრია — ფ. კანარეიკინი („კრილია სოვეტოვი“), დანია — ვ. ბრაგინი („ხიმიკი“, ვოსკრესენსკი), იტალია — ბ. ალექსანდროვი („ტორპედო“, უსტ-კამენოგორსკი), ი. კორჟილოვი, მ. ანფიოროვი (ორივე — „დინამო“, ხარკოვი); ვ. ანისინი („სპარტაკი“), ა. გლაზკოვი და პ. ეზოვსკიხი („ტრაქტორი“ ჩელიაბინსკი), გ. კრიუჩკოვი („ტორპედო“, იაროსლავლი), კანადა — ს. პრიახინი („კრილია სოვეტოვი“), ს. მაკაროვი, ი. ლარიონოვი, ვ. კრუტოვი, ვ. ფეტისოვი, ს. სტარიკოვი და ა. მაგილნი (ყველა — ცსკა), ს. მილნიკოვი („ტრაქტორი“ ჩელიაბინსკი), აშშ — ხ. ბალდერისი („დინამო“, რიგა), საფრანგეთი — ვ. კოვინი („ტორპედო“, გორკი), ს. გორბუშინი („სოკოლი“, კიევი) , ვ. ზუბკოვი (ცსკა), ს. ლუბკინი („დინამო“, რიგა), გფრ — ვ. გოლუბოვიჩი, ნ. ნარიმანოვი („სოკოლი“, კიევი), ი. რომაშინი („კრილია სოვეტოვი“); ფინეთი — ვ. ტიუმენევი („სპარტაკი“), ი. კუზნეცოვი („ტორპედო“, უსტ-კამენოგორსკი), ა. სკვარცოვი („ტორპედო“, გორკი), ა. ტიმოფეევი („ტორპედო“, ჩელიაბინსკი), ა. ფროლიკოვი, ვ. დურდინი (ორივე — „დინამო“ რიგა), შვეცია — ა. კოჟევნიკოვი, ი. ავდეევი (ორივე — „კრილია სოვეტოვი“), ვ. ლავრენტიევი („სალავატ იულაევი“ უფა), ნ. დავიდკინი („ხიმიკი“, ვოსკრესენსკი), მ. ფახრუტდინოვი („დინამო“ მოსკოვი), ნ. დროზდეცკი (სკა ლენინგრადი), იუგოსლავია — ვ. კრუტოვი („ტორპედო“, იაროსლავლი), ს. სტოლბუნი (ურიცკის სახელობის სპორტული კლუბი, ყაზანი), ვ. შჩურენკო („ხიმიკი“), ნ. ლადიგინი („სოკოლი“, კიევი) ვ. დოროშენკო („სპარტაკი“), ა. მურაშოვი („კრილია სოვეტოვი“), ი. შუმაკოვი („ტრაქტორი“, ჩელიაბინსკი).

(საქ. ინფ.)

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# ილიე ნასტასე— რუმინეთის სიამაყე

**ალბათ,** არც ერთ ჩოგბურთელს, რომელიც ოდესმე შედიოდა წამყვან მოთამაშეთა კოჰორტაში, არ რგებია იმდენი ურთიერთსაწინააღმდეგო მეტსახელი, როგორც რუმინელ ვარსკვლავს ილიე ნასტასეს: „ანცი“, „საძაგელი ბიჭუნა“, „ჩოგბურთის კლოუნი“ და მრავალი სხვა. ყველა ეს მეტსახელი მას ტურნირის ორგანიზატორებმა, მაყურებლებმა და ჟურნალისტებმა შეარქვეს მისი ქცევის გამო, რომელიც გაუთავებელ პროტესტებში, მოწინააღმდეგეებთან და მსაჯებთან ხშირ კამათში გამოიხატებოდა. „ბუნებრივი ტალანტი“, „საოცარი მოთამაშე“, „მსახიობი“. აი, ასეთ სიტყვებს კი მისი მართლაც შესანიშნავი და განუმეორებელი თამაში იმსახურებდა.

ნასტასე დაიბადა 1946 წლის 19 ივლისს ქალაქ ბუქარესტში. ჩოგბურთში ვარჯიში, მხოლოდ 11 წლისამ დაიწყო. მისი მწვრთნელი კოვარუ თვლიდა, რომ ილიე დაბადებით ჩოგბურთელია, ხოლო ბუქარესტის „სტიაუას“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელს კი არ უნდოდა დაეკარგა საკმაოდ ნიჭიერი ცენტრფორვარდი. საბოლოო სიტყვა თქვა საზოგადოების ხელმძღვანელობამ (ნასტასე „პროგრესის“ წევრი იყო), რომელმაც ჩოგბურთს დაუჭირა მხარი. ჩოგბურთის სასარგებლოდ ლაპარაკობდა ისიც, რომ იგი იყო საოჯახო სპორტი. ილიას ძმა კონსტანტინე შედიოდა ქვეყნის წამყვან ჩოგბურთელთა სიაში, თავის დროზე იგი დევისის თასის გათამაშებაშიც გამოდიოდა, დამ კონსულიამ მოიპოვა რუმინეთის ჩემპიონის ტიტული იუნიორთა შორის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნასტასების სახლი მდებარეობდა ორ ნაბიჯზე იმ კორტთან, რომელზეც იმართებოდა დევისის თასის გათამაშება.

ილიემ სულ მოკლე დროში თამაშის კლასით გაასწრო თანატოლებსა და მოზრდილებს და გახდა ჩემპიონი ჯერ ერთ, შემდეგ მეორე ასაკობრივ ჯგუფებში.

18 წლის ნასტასე ქვეყნის მესამე ჩოგანი იყო, ხოლო ორი წლის შემდეგ კი იონ ცირიაკთან ერთად უკვე პირველ ადგილს იყოფდა. ნასტასე საერთაშორისო კლასის ჩოგბურთელის კარიერის ზღურბლზე იდგა, რითაც გაამართლა მისი ტალანტის თაყვანისმცემელთა იმედები. რუმინეთის ნაკრები, სწორედ ნასტასეს ბრწყინვალე თამაშის მეშვეობით გავიდა დევისის თასის დამამთავრებელ ეტაპზე. იგი დაასახელეს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად. 1970 წელს მან მოიგო იტალიის ჩემპიონატი რომში, პირველი ადგილი დაიკავა ცირიაკთან ერთად წყვილთა შეჯიბრებაში და გაიმარჯვა უიმბლდონში — ამერიკელ კაზალსთან წყვილში.

1971 წლის სეზონმა ახალი წარმატებები მოუტანა რუმინელ სპორტსმენს: მონაწილეობა დევისის თასის ფინალში ამერიკელთა წინააღმდეგ და „გრან პრის“ ტურნირი მოიგო პარიზში.

ყველაზე ბედნიერი მის სპორტულ ბიოგრაფიაში იყო 1972 წელი, როცა მოიგო შეჯიბრება ფორესტ-ჰაილში, გამართა ულამაზესი ფინალური შეხვედრა უიმბლდონზე, სადაც მეხუთე პარტიაში დათმო სმიტთან (5:7), გავიდა იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალში რომში, მოიგო ტურნირები ბარსელონაში, ომახში, მადრიდში, მონტე-კარლოში, ნიცაში, დიუსელდორფში, კოდეშთან წყვილში მოიპოვა გამარჯვება ჰამბურგში, პირველი იყო უძლიერეს ოსტატთა შორის ბარსელონაში და მოიგო „გრან პრი“. იმ წელს ასევე უამრავი პრიზები, მხოლოდ მის უშუალო მეტოქეს სტენ სმიტს ხვდა წილად.

სმიტმა ბუქარესტში მოუგო კოდეშს, დევისის თასის გათამაშების ფინალში. ელოდნენ, რომ რუმინელები გამოიყენებდნენ მათთვის ხელსაყრელ მდგომარეობას. იმედი ჰქონდათ ნასტასეს მოგებისა გორმანთან და სმიტთან ერთეულთა შეხვედრებში, მაგრამ პასუხისმგებლობის ტვირთი მეტად მძიმე აღმოჩნდა. ილიეს კარგად ესმოდა, რომ მის გუნდს უნიკალური შესაძლებლობა ეძლეოდა მოეგო დევისის თასი, მაგრამ სწორედ ამ გარემოებამ შეუშალა ხელი ეთამაშა სრული მობილიზებით. საკუთარ „კედლებში“ დამარცხება ნასტასემ ძალზე მძიმედ განიცადა.

ნასტასეს უდიდესი პოპულარობის მიზეზი მისი თავისებური თამაში გახლდათ, რაც ნებისმიერ მატჩს უაღრესად დრამატულს და საინტერესოს ხდიდა. იგი იყო იდეალური მოთამაშის განსახიერება, რომელსაც მოედანზე შეეძლო ყველაფერი. თამაშობდა ლამაზი, შემტევი სტილით, შეეძლო უძნელეს მდგომარეობაშიც კი ლამაზად დაერტყა. ნასტასე იყო უსწრაფესი მოთამაშე, რომელსაც გასაოცარი რეაქცია და მოწინააღმდეგის მოქმედების განჭვრეტის უტყუარი ალღო ჰქონდა. რა თქმა უნდა, მასაც ჰქონდა სუსტი მხარეები, უპირველეს ყოვლისა ეს გახლდათ — ნერვები, მაგრამ ამ მხრივაც იგი თანდათან გამოსწორდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მის მეუღლეს დომინიკ გრაზის.

მას შემდეგ, რაც ნასტასემ მოელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა და მსოფლიო ჩოგბურთის აღიარებული ოსტატი გახდა, იგი ბუქარესტის და მთელი რუმინეთის სათაყვანებელ სპორტსმენად იქცა. მასზე ლაპარაკი არ იქნება სრული, თუ არ გავიხსენებთ მის პარტნიორს და უფროს მეგობარს იონ ცირიაკს. ნასტასე მასთან ერთად ხშირად გამოდიოდა დევისის თასის გათამაშებაში.

ცირიაკი ბრაშოვში ჰოკეის თამაშობდა. ჩოგბურთმა იგი საკმაოდ გვიან გაიტაცა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი ჩოგბურთელი გახდა, რომლის მართლაც, რომ ვალდებულია ნასტასე. იგი არაერთხელ დახმარებია ილიეს რჩევებით და დარიგებებით, მაშინაც, კი, როცა ისინი ერთად მონაწილეობდნენ დევისის თასის გათამაშებაში. ყველაფერ კარგთან ერთად ნასტასემ ცირიაკისაგან გადაიღო ის დასაგმობი თვისებაც, რომელიც გარკვეულ ტურნირებში მას ცუდ სამსახურს უწევდა. ეს გახლდათ კამათი, რომლის გამოც მას „სიმშვიდის დამრღვევს“ ეძახდნენ. ცირიაკს, ინარჩუნებდა რა სრულ სიმშვიდეს, ასეთი ქცევა ეხმარებოდა მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოყვანაში. ხოლო ნასტასე, როგორც ბუნებით იმპულსური ადამიანი, ყოველივე ასეთი „ჭირვეულობის“ შემდეგ, თვითონ კარგავდა თამაშის კონტროლს, რის გამოც მას არაერთი მატჩი წაუგია. ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1971 წლის შეხვედრა იან კოდეშთან როლან-გაროსის კორტზე, როდესაც ნერვებს აყოლილმა ნასტასემ დასანანი მარცხი განიცადა.

მიუხედავად ამისა, ცირიაკმა და ნასტასემ მსოფლიო ჩოგბურთში შექმნეს ერთ-ერთი უძლიერესი წყვილი, ილიე სრულყოფილად ფლობდა ტექნიკის საიდუმლოებებს, ხოლო იონს ჰქონდა უდიდესი გამოცდილება. ფასდაუდებელია ის წვლილი, რომელიც მათ რუმინეთის, ჩოგბურთის განვითარებაში შეიტანეს. მათი წყალობით ძალზე გაიზარდა ჩოგბურთით დაინტერესებულ მოზარდთა რიცხვი.

1972 წელს აშშ-თან ფინალური მატჩის შემდეგ, რომელიც დამთავრდა ამერიკელთა გამარჯვებით, იონ ცირიაკმა დატოვა ნაკრების რიგები. ნასტასემ კი თავისი შემართებით და შესანიშნავი თამაშით გააგრძელა გამარჯვებები. მას თავისი ვირტუოზული თამაშით დიდხანს აღტაცებაში მოჰყავდა ჩოგბურთის თაყვანისმცემლები.

მასალა მოამზადა
**ალექსანდრე ჯიბლაძემ.**

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი
ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10596